1877—1895

№ 257

სამშაბათი, 28 ნოემბერი 1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 257

სამშაბათი, 28 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

„ივერია"
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, 1895 წ.
მეორე გასტროლი
ეფ. მესხისა.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
კ. ს. მესხის საბენეფისოდ
ქ-ნ ე. მესხისა და ბ. კ. მესხის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
**მადამ სან-ჟენ**
კომედია 4 მოქმ. სარდუსი და მოროსი.
თარგ. კ. მესხის-მიერ.
ამ პიესისათვის განსაკუთრებით შეკერილია ახალი მდიდრული ტანისამოსი, მოწყობილება გადმოღებული და გაკეთებულია პარისის თეატრის სურათებიდგან, ბუტაფორის რუდაკოვის-მიერ.
მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნ ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ცაგარელი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად: „ჭირვეული ცოლის მორჯულება" კომ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგმ. კ. მესხის-მიერ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** ამ დღეებში პოლიციის მოხელე კონსტანტინე შიუკაშვილმა კუკიაზე მეპურე საპურობილედამ გაქცეული დ— შვილი, რომელსაც ქურდობა ჰბრალდებოდა. დამნაშავეს უნდოდა ჩამჯდარიყო კაგონში და ტფილისიდამ ეხლა სხვა მხარისაკენ გაეხიზნა.

*** რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა, რომ არსდება ახალი გუბერნია, რომლის საგუბერნიო ქალაქად ნოვოროსიისკი უნდა იყოსო.

*** კავკასის მაზრიდამ გვწერენ: ბარის ოსებში დღეს აქამომდე ცოლის შერთვა ურვათოდ შეუძლებელი იყო. ურვათი ის ქრთამია, რომელიც საქმროს უნდა მიეტანა ქალის პატრონისათვის. უწინ ეს ურვათი არ იყო ისე საშიში, როგორც ამ ბოლოს ხანებშიო. ამ ბოლოს ხანებში ურვათი 400—600 მანეთამდე ავიდაო. ამოდენა ფულის გადახდა, რასაკვირველია, ძნელია უბრალო ღარიბ ოსისათვის და რადგანაც უცოლოდაც დარჩენა უფრო ძნელია და მუშაობით ამოდენა ფულის შოვნას ვერ ახერხებს, მეტი გზა არ ჰრჩებოდა, რომ ან ქურდობით ეშოვნა, ან ქალი მოეტაცნა. ქალის მოტაცებას ხშირად ჩხუბი და სისხლის ღვრა მოსდევს ხოლმე ორთა გვართა შორის. რადგანაც დანახულ იქმნა, რომ ქურდობის, კაცის დაჭრის და მოკვლის მიზეზი ხშირად ურვათის არსებობაა.

*** კავკასის მაზრიდამ ერთს ღირსშესანიშნავს ამბავს გვწერენ: იქაურს უმაღლესს სამღვდელო მმართველობას ბრძანება მიუწერია სოფლის მღვდლებისათვის, რომ ურვათით ცოლის შერთვა, ურვათის მიცემა აკრძალულ იქმნას, ვინაიდგან ნაშთი მუსლიმანთა ზნე-ჩვეულებისა და რომელი ოსიც დაარღვევს ამ ბრძანებას და არ დაემორჩილება, იგი სამოქალაქო სამართალს მიეცემა დასასჯელადაო. 1 ნოემბერს ამ წლისას ვლადიკავკასის სასულიერო კონსისტორიას ამისთანა ბრძანება გაუგზავნია თავისის ხელ-ქვეითის სამრევლო სამღვდელოებისათვის. ოსებს მალიან გაჰხარებიათ, რომ ამისთანა ბრძანება გამოსულა, რადგანაც თვითონაც ოსებს, მაგალითებრ, თერგის ოლქში, დიდი ხანია ჰსურვებიათ თურმე ურვათის გადაგდება, მაგრამ თავისით ვერა გზით ვერ მოუხერხებიათ.

*** ხონიდამ გვწერენ დიდს სამდურავს იქაურ ინტელიგენტების მიმართ, რომ ამისთანა ადგილას, როგორც ხონია, სადაც საკმაო რიცხვია განათლებულთა და ქონებითაც საკმაო შეძლება, არავინ არა ჰზრუნავს წიგნთ-საცავის დასაარსებლად, ეს მით უფრო სამარცხვინოაო, გვწერენ, რომ ხონი მდიდარი დაბაა, ბევრი განათლებული კაცი ჰყავს ისე, რომ ამ მხრით არც ერთი სოფელი და დაბა ქუთაისის გუბერნიაში არ შეედრებაო და მაშინ, როდესაც გურიაში თითქმის ყოველმა სოფელმა, არამც თუ დაბამ, წიგნთ-საცავები გაიმართა, ეს ჩვენი ხონი ამისათვის ყურსაც არ იბღერტავსო. თუ ესეა, ნუ-თუ მართლა ერთი იმისთანა არავინ გამოჩნდა ხონში, რომ ამ საჭირო საქმეს თავი დაუდოს და წინ გაუძღვეს?

*** ღმერთმა-კი დაგვიფაროს და თუ რამე ეპიდემიური ავადმყოფობა ეწვია ტფილისს, მაგ. როგორც 1892 წელს ხოლერა, პირველად ავლაბარი შეიქნება მისი მსხვერპლი. ტალახი ნაგავი, გადმოღვრილი სარეცხის წყალი, გადაყრილი დამპალი სანოვაგე აქაურს ქუჩებში ერთად არის არეული და ყველა ეს ერთად შეზავებული სწამლავს ჰაერს. რაღა გვითქვამს სხვა ქუჩებზე, როდესაც ერთი უმახლობელესი ქუჩა პოლიციაზე და დარიის მონასტერზე, სახელდობრ „პრეობრაჟენსკის" ქუჩა ტალახის მდინარეს წარმოადგენს. ეს ქუჩა მონასტერში შესასვლელი ქუჩაა და თუ გინდათ იქითკენ გავლა, კედელს უნდა აეკრათ და ისე გაიაროთ აგურის ტოლა აქეთ-იქით მშრალად დარჩენილს ადგილზე, მაგრამ თუ ერთი ფეხი დაგიცდათ, მაშინ-კი ხელები უნდა გაშალოთ და ტალახს მოუცურდეთ.

*** ამას წინად გაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ოდესსის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსება განუზრახავთ და ამისათვის შუამდგომლობაც დაუწყიათო. ეხლა ოდესსის გაზეთები იუწყებიან, რომ შუამდგომლობა შეუწყნარებიათ და სამკურნალო ფაკულტეტის დაარსება დღეს მთლად გადაწყვეტილი საქმეაო. (ნ. კ.)

*** სურამიდამ გვწერენ: ჩვენს მხარეს სრულიად უხნავ-უთესველნი დარჩნენ, რადგანაც ჯერ სულ სწვიმდა და ეხლა ეს ერთი კვირაა სულ თოვლი მოდისო. ამისთანა ამინდის გამო აქაურს წიგნთ-საცავს მკითხველი მოემატა, ნამეტნავად მდაბიო ხალხიო. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენს სამკითხველოს ფული არა აქვს ცეცხლი აანთონ და ასე ცივა, რომ ოვით მისი გამგეც ვერა სძლებსო სამკითხველოს ოთახშიო. აქაური ინტელიგენტები დაპირებულნი არიან თითეში ათი შაური შემოიტანონ და არავის შემოაქვსო. ამ სამკითხველოზე გული აუცრუა თურმე სხვებსაც ერთმა წვერმა და მიზეზად ამ წვერს ასახელებენ. ბ-ნმა გ. დ. ყიფიანმა ჩვენს სამკითხველოს შემოსწირა ასორმოცდაათი მშვენიერი საკითხავი წიგნებიო.

*** სოფელ ნიგოითიდამ (გურია) გვწერენ, რომ ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა იქაურ მცხოვრთათვის სიმინდია და წელს იმოდენად ნაკლები მოსულიათ, რომ ნახევარ წლამდე არ გაჰყვებათ და მეტი გზა არ არ ს, სხვაგან უნდა იშოვონო, ხოლო ჭირი ეს არის, რომ სრულად უღონონი არიან და სიმინდის სასყიდლად ფული არსად მოეპოვებათო.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკასის მაზრა): სოფელ ხუმელაგაზე ხუთი ვერ-

## ფელეტონი

**მეოთხე რეხა.**

(მგზავრის წერილები)

III

დილის ორი საათი შესრულდა. ერთი პირი ჩამობნელდა, თითქოს წყალმაც-კი ჩაიძინაო.

„ცისა გახსნას შევესწრები
ქვეყნების დამყარებასა,
შენს გამარჯვებას ვისურვი,
სამშობლოს აჰყვავებასა".

აბულთან ცა გაიხსნა—აღმოსავლეთმა გამოაშუქა. ხალხს სწამს, რომ ცის გახსნის უმალ, რასაც ინატრებ, ყოველივე აგისრულდებაო. მაგრამ ეს დიდებული წუთი ისე უეცრად მოხდა, რომ ჩვენმა ხაქარომ ვერც-კი მოასწრო სამჯერ ეთქვა: „ღმერთო მამე ცხოვრება, ქონება და ცხონება"...

ის ჩვენი სატრფო ღადღადა ვარსკვლავი თრთოლით, ციმციმით ძლიერ მაღლა, მაღლა ავიდა, მერე მისუსტდა—მიილია.

ახლა ველით ალიონის ნახვას—ცას შევცქერით. ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა სთქვა: საცაა მზე უნდა ამოვიდესო.

უეცრივ, მოულოდნელად თვალი მოვკარით უმშვენიერესს დიდ ვარსკვლავს, რომელიც აღმოსავლეთით, მთის იქიდამ, ის ის არის ამოსულიყო, ამოგვპარვოდა. საათს დავხედე და მესამის ნახევარი იყო.

ამ მნათობის სიდიად-სიკაკლუცემ და მისმა ნაზმა თეთრმა შუქმა მთლად გაიტაცა გული-გონება.

წარმოიდგინეთ რა რიგ მოვსტყუვდით და მთელი ერთი საათი იმ ყვითელ ვარსკვლავს ველერსებოდით, შევხაროდით—ცისკრის ვარსკვლავი გვეგონა, მაგრამ ვაი სირცხვილო! რა უმეცრები ვყოფილვართ ვარსკვლავთა ცნობაში! თურმე ნუ ბრძანებთ, ის ცბიერი ყვითელი ვარსკვლავი, ამ ერთის საათის წინად რომ ამოვიდა, თურმე ხარიპარია ყოფილა და ჩვენ-კი ისე შევსტრფოდით, როგორც ცისკრის ვარსკვლავს...

ახი კია ღვთის წინაშე, რომ ამ ყვითელ ვარსკვლავს ხალხმა ავაზაკის სახელი დაანათლა—თათრები ქარვანყრანას უძახიან, ე. ი. ქარავანის გამწყვეტიო.

ერთხელ, ოდესღაც, ზამთრის ღამეს, სწორედ იმ დროს, როდესაც ეს ყვითელი ვარსკვლავი ამოსულა, თურმე დიდი ქარავანი ღამის ბინიდამ აშლილა და გზას გასდგომია, რადგანაც ჰგონებიათ ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდაო და საცაა გათენდებაო. ის-კი არა თუ გათენებამდე ჯერ შორს იყო. უცებ ცამ მოიქუშა, ამოვარდა თურმე ქარი და ბუქმა—ნამქერმა მთლად გაწყვიტა უდროოდ მოგზაური, მოტყუებული ქარავანი, მას აქეთაა იმ ვარსკვლავს ქარავანყრან უძახიან და ერიდებიან, მაგრამ კიდევ ისე სტყუვდებიან, როგორც დღეს ჩვენ მოვსტყუვდით.

ქართველებმა ხარიპარია იმიტომ უწოდეს იმ ვარსკვლავს, რომ ღამის მეხრენი ბევრჯერ მოტყუებულან—ხარი აუშლიათ, გუთანზე მოურეკიათ და გათენება-კი ჯერ არსად არის.

ამასობაში ცამ თუ მოიღრუბლა, მაშინ კუმეტ ბნელაში ხარიც იკარგება. ამბობენ, ამ დროს ხარი საბალახოზე გაიწევს და გაიპარება ხოლმეო.

ხ ა რ ი პ ა რ ი ა ვარსკვლავი, ქ ა რ ა ვ ა ნ ყ რ ა ნ ი, ბევრ ლექსებშია მოხსენებული თათრულ ენაზე. აი ერთი საინტერესო ნიმუში.

ვიღაც ხანის შვილი, სახელად ქარიმა, სიზმარში ჰნახავს თავის სატრფიალო ქალს, მისი სილამაზე ჩარჩება გულში და ა შ უ ღ ა თ მიდის. დადის აშუღის ტანისამოსით, დაეძებს ქალაქსა და დაბებში თავის გულის სატრფოს. ბევრის მოგზაურობის შემდეგ ჰპოვებს ერთ უმშვენიერესს ქალს, რომელიც აღმოჩნდება სომხის მღვდლის ქალი, სახელად ასლი.

ქარიმას აენთო გულში სიყვარულის ცეცხლი და დაუწყო განუწყვეტელი ტრფიალი თავის მიჯნურს. ასლისაც ბოლოს და ბოლოს შეუყვარდა ქარიმა. გაბეზრებული ტერტერა აიყარა და მალულად სხვა ქვეყანაში გადასახლდა.

ქარიმამ მაინც ხელ-მეორედ იპოვა თავის გულის სატრფო, მშვენიერი ასლი.

ტერტერას ცოლმა თურმე კბილების ექიმობა იცოდა და წესათაც ის ჰქონდა, ვისაც კბილს ამოუღებდა, თავს ასლის კალთაში ჩაადებინებდა, რა არის, ასლის სილამაზემ გაიტაცოს და კბილის ტკივილის სიმწვავე ველარ იგრძნოსო.

ეს გარემოება გამოიყენა ქარიმამ, მოიავადმყოფა თავი და სხვაფრივ ჩაცმული, სახე შეცვლილი, მივიდა ტერტერას სახლში ყბა ახვეული. შეეცოდა ტერტერას ცოლს, დაუძახა თავის ქალს. ასლიმ მოიკეცა. ქარიმა წამოწვა და თავი ასლის კალთაში ჩადო.

ასლი ნუგეშს სცემდა, ტერტერას ცოლმა კბილი უკვე ამოართო, მაგრამ ქარიმა ისეთ ნეტარებაში იყო და ისეთი სამოთხე ჰპოვა ასლის მშვენიერ წამწამთა ჩრდილში, რომ არც-კი უგრძვნია რამე. სიყვარულით დაბნედილი ქარიმა ძლივს მოიყვანეს გონს, ასე ეგონათ გული წაუვიდა კბილის სიმწვავითაო. ქარიმამ, ვითომ კბილის სიმწვავით, უსაყვედურა: ეგ კბილი შეცდომით ამოგიღია, აი ეს კბილი მტკივაო. მეორე კბილიც რომ ამოუღეს, ქარიმამ კიდევ შარი მოსდო და ამგვარად 32 კბილის ამოგლეჯა ირჩია და ასლის კალთიდამ თავის აღება-კი არა. ბოლოს გაუგეს ეშმაკობა და ძალის-ძალად დაითხოვეს სახლი-

*) იხ. „ივერია" № 256.

სით მოშორებით, ნეკრესოვის სახოცი ხარის ბაკს ღამე დაეცნენ ქიშტები; ყარაულებს თოფები დაუშინეს, უკანასკნელნი დაიმალნენ, რადგანაც შეატყეს გერას გახდებით ქურდებთანაო. ქურდებმა გაირეკეს რვა დიდი ხარი. ყარაულებმა, სოფ. ხუმელაგელის მდევრების შემწეობით, ხარების კვალი ქიშტის სოფელ დახველჯიათში მიიტანეს. ამის მესამე დღეს, ხუმელაგის სოფლის განაპირს, სტანიცა არხონკელ ყაზახს რუსს, სალამოთი ახალ შებინდებულზე, დახვდნენ ორი ცხენოსანი ავაზაკი თავ-შეხვეულები. ცხენოსნებმა ყაზახს შეუტიეს: ჩამოხსენი ჩქარა ცხენები და მოგვეციო“. ყაზახმა თავისი ურმიდამ საჩქაროდ ბერდანის თოფი ამოიღო და შესძახა ავაზაკებს: „აი მე თქვენ მოგცემთ ცხენებს, აბა დადექითო“. ავაზაკებმა რომ ნახეს ყაზახის მკვახე პასუხი და ბერდანის თოფი, მოკურცხლეს და გაიქცნენ. ყაზახმა გამოუშვა ერთი თავისი ცხენი, მოახტა ზედ უბელოს და დაედევნა უკირილით ავაზაკებს. ავაზაკები შეცვივდნენ სოფელ ხუმელაგაში და გაცვივდნენ სოფ. ზილგისაკენ. ყაზახმა ხუმელაგის მამასახლისის აცნობა, რომელიც მაშინვე მდევრით დაედევნა ავაზაკებს. ავაზაკებს გზაზედაც აღმოუჩნდათ მნახველნი. ამნაირად აღმოჩნდა, რომ სოფ. არდონელები ისები ყოფილიყვნენ, ორივენი ციხეში ნამყოფნი. ორივენი შეპყრობილნი არიან.

*** სოფ. ყადგარონი (კავკავის მაზრა): ცამეტს ამ თვეს, სოფელ ყადგარონის მინდორში ცხვრის ფარეხს დაეცნენ ქურდები, ქურდებმა მეცხვარეებს დაუშინეს ბერდანის თოფები; ერთი მეცხვარე მძიმედ დასჭრეს და სამოცდა-თხუთმეტი (75) სული ცხვარი გაირეკეს. მდევარი გვიან მიეშველა, რადგანაც ფარეხი სოფელზე შორს იყო. მდევარმა, ქურდების და ცხვრების კვალი ქიშტის სოფელს ტოიყაუში მიიტანეს.

*** სოფ. გიზელი (კავკავის მაზრა): სოფელ გიზელზედ ახლო (კავკავიდამ ათ-თორმეტ ვერსზე) სახელმწიფო მამულში აღმოაჩინეს შავი და თეთრი ნავთი; მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ ადგილს და მალე მუშაობა დაიწყება.

*** ბარის ოსები: ამას წინად სოფლებ ზილგეს და ბესლანის მცხოვრებთ ბ. კავკავის მაზრის უფროსმა სუყველას იარაღი ჩამოართვა. მიზეზი—ის იყო, რომ ამ ორ სოფელს ბრალდებოდათ ეჭვი უაზრად გავარდნილთ, რომელნიც დღესაც გაცვივნულები არიან, ჩუმად მასპინძლობას თურმე უწევდნენ.

---

ბრწყინვალეო თავადო.

რაფიელ დავითის ძევ!

მთელს საქართველოში ძნელად თუ მოიპოვება იმისთანა უგრძნობელი ქართველი, რომელიც აღტაცებაში არ მოსულიყოს და თავისი მხიარულება არ შეეერთებინოს იმ საზოგადო საერო მხიარულებასთან, რომელიც მთელმა ქართველობამ გულის სიღრმიდამ გამოხატა თქვენის ორმოც-და-ათის წლის ღვაწლით მოსილ შრომისათვის მწერლობის ასპარეზზე. ამ მხიარულებაში და თანაგრძნობაში რაჭველნიც გულ-გრილად არ დარჩებოდნენ, როგორც უძველესნი ქართველნი, მაგრამ თუ რაჭველებმა თავისს დროზე და ღირსეულად ვერ მოგილოცეთ მრავალ-მნიშვნელოვანი დიდებული და დაუვიწყარი დღესასწაული, ამის მიზეზი არის არა უმეცრება, არა დაუდევნელობა და მიუხთომლობა რაჭველთა, არამედ ავადმყოფობა რაჭის თავად-აზნაურობის წარმომადგენლისა... ვინაიდამ მზგავსი მოლოცვა და საზოგადოების მხრით თანაგრძნობის განცხადება შეადგენდა საღმრთო მოვალეობას იმისას; მე, როგორც კერძო პირი ოდესმე თქვენს ხელქვეით ნამსახური და მახსოვარი მრავალთა თქვენთა კეთილ მისწრაფებათა, კარგად მახსოვს ჩემს სიყმაწვილეში, თქვენ მომაჩეჩეთ ხელში „ცისკრის“ ნომერი და მიბრძანეთ: «ქართველთათვის ქართულის კითხვა მოვალეობა არისო,» ვეღარ გავუძელ მიუტევებელს დუმილს, ამისათვის ვარჩიე სულ უთქმელობას გვიან მაინც მოგილოცოთ ის დღესასწაული, რომელმაც შეგმოსათ უკვდავის სახელით და დიდებით. ღმერთმა ინებოს თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლე მეცხრამეტე საუკუნის რუსთველო. თქვენი უკვდავი სიტყვები: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, მეთქვენდა პატივის საცემლად და სახსოვრად დავაწერე თორმეტის წლის წინედ ჩემს ეზოში ქვის ფიქალზე, რათა წამკითხველნი ამ დიდებულის სიტყვებისა მისს შემთხზველს ღირსეულის პატივით და სიყვარულით მოიგონებდნენ.

დავშთები თქვენი ბრწყინვალების მარად პატივის-მცემელი ლუარსაბ ქიქინაძე.

16 ნოემბერს, 1895 წ.

---

## საქართველოს თავადნი.

თავადნი აფხაზნი. ქართველ მეფეთა გრამოტებში: მეფის როსტომისა, 1654 წლის 12 აპრილიდამ და მეფის თეიმურაზისა, 1738 წლის 1-ლ სექტემბრიდამ, და აგრეთვე სპარსეთის შაჰის აბაზის ფირმანში, 1655 წლისა, გიორგი ბეგ-აფხაზი და შთამომავალი მისი დავითი თავისი შვილითურთ ორთავე თავად აფხაზებად იქმნენ წოდებულნი.

თავად აფხაზთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც 1783 წელს ქართველთა მეფის ერეკლე მეორის-მიერ რუსეთის მთავრობასთან შეკრულ ტრაქტატსა აქვს დართული.

სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია 1826 წ. 7 მარტს, თავადად დამტკიცებულ იქმნენ და აღნიშნულნი არიან V გვარეულობათა წიგნში კაპიტანი ივანე შარმაზანის ძე აფხაზი და შვილები მისნი: პრაპორშჩიკი დავითი, პრაპორშჩიკი შარმაზანი და დიმიტრი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 1841 წ. 13 თებერვალს, 1851 წ. 30 აპრილს, 1860 წ. 8 აგვისტოსა და 1868 წ. 23 ოქტომბერს ამ გვარს შეუერთეს: 1) ალექსანდრე შარმაზანის ძე და შვილნი მისნი: გრიგოლ და სვიმონი და 2) ალექსანდრე დიმიტრის ძე აფხაზნი.

თავადნი აფხაზნი (ანჩაბაძე-აფხაზნი). თავად აფხაზთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, იმ ტრაქტატთან ზედ-დართულში, რომელიც ხელშეკრულ იქმნა 24 ივლისს 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან მეფე ერეკლე II-ის მიერ.

სამდივან-ბეგო გარდაწყვეტილებაში, რომელიც მეფე ერეკლე II-ის მიერ დამტკიცებულია 1-ლს აგვისტოს 1788 წ., ნიკოლოზ აფხაზი (გიორგი ანჩაბაძე-აფხაზის ძე, V თაობის შთამომავალი) თავადად იქმნა წოდებული.

2 ნოემბერს 1827 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით თავადად დამტკიცებულ იქმნენ და მე-V გვარეულობათა წიგნში შეტანილნი: პოლკოვნიკი ივანე, შტაბს-კაპიტანი გიორგი (იგივე შანშე) და ანტონ ნიკოლოზის ძენი აფხაზნი.

---

## კორესპონდენცია.

—

საჩხერე. დღეს, 22 ოქტომბერს, დ. საჩხერის და მის მახლობელ სოფლების მცხოვრებთაგან გაეგზავნა ტფილისში იუბილარს ძვირფას პოეტს რაფიელ ერისთავს მილოცვის ტელეგრამმა და გარდახდილ იქმნა დ. საჩხერეში მისს სადღეგრძელოდ პარაკლისი, რომელზედაც მრავალი ხალხი დაესწრო, როგორც თვით საჩხერელი, აგრეთვე სოფლელნიც. პარაკლისის გათავების შემდეგ თავადმა დავით როსტომის ძე წერეთელმა სთქვა შემდეგი სიტყვა:

„დღეს ვდღესასწაულობთ ჩვენ ქართველი ერი ორმოც და-ათი წლის მოღვაწეობას პატივცემულის მოხუცის თავადის რაფიელ დავითის ძის ერისთავისას, რომელიც იმყოფება ამ ჟამად ქალაქ ტფილისში, სადაც ყოველი კუთხიდამ მიისწრაფის მასთან დეპუტაციები და დეპეშები მილოცვისა და ვინ იქმნება ისეთი ქართველი, რომ არ თანაუგრძნობდეს მის გრძნობას სავსე პოეზიას?

არა თუ ახლა, ჩვენს დროში, არამედ ძველადაც, როდესაც ყოველის კუთხით მოსეულს მძვინვარე მტერს ხმლით იგერებდნენ, ქართველნი მაშინაც თაყვანსა-სცემდნენ კალამს; აფასებდნენ და უპირატესობას აძლევდნენ კალმის ხელში მპყრობელს, გრძნობით სავსე წინამძღვარს, რომელიც მელნად თავის ნაღველს ხმარობდა და დღეს, რასაკვირველია, როდესაც მახვილმა განისვენა და დროთა ვითარება შეიცვალა, დღევანდელმა იუბილარმა თავის წინაპართ ერთა წინამძღომელთ დიდებულთ არაგვის ერისთავთა მახვილი დროთა მოთხოვნილებისამებრ კალმად შესცვალა და ომობს სულიერად 50 წლის განმავლობაში. დღეს არის მისი მოღვაწეობის იუბილე და ჩვენც საჩხერეს და მის მიდამოს მყოფნი ვდღესასწაულობთ და ვავედრით უფალს—რათა განამრავლოს დღენი მისნი და აგრეთვე მისი მზგავსნი მოღვაწენი—მშრომელნი ქართველნი მამულის-შვილნი.“

ყარამან ჩხეიძე.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ლონდონში გამოსულა ერთი წიგნი, სადაც მოთხრობილია ბევრი საყურადღებო ამბები შესახებ ეხლანდელ საზოგადო სარბიელზე მოღვაწეთა ინგლისში. ამისი დამწერი ძალიან დაახლოვებული მეგობარი ყოფილა განსვენებულ რანდოლფ ჩერჩილისა, რომელიც დიდ-ნიჭიან კაცად იყო ცნობილი და შარშან თუ შარშან წინ ჭკუაშეგებად ჩავარდა და გადაიცვალა უდროოდ, რადგანაც შუა-კაცობამდე ძლივს მიღწეული იყო. დიდი იმედი ჰქონდათ ინგლისში ამ ნიჭიან კაცისა, მაგრამ არ დასცალდა და მალე გამოესალმა საქაოს. რანდოლფ ჩერჩილს ერთს დროს სალისბერის მინისტრობაში ეჭირა დიდი ადგილი ხაზინის კანცლერისა და დიდი წინააღმდეგი იყო სახელოვანის გლადსტონისა. აი ერთხელ რა შემთხვევა ჰქონია ჩერჩილს გლადსტონთან. როცა ჩერჩილს სალისბერის სამინისტროში ფინანსთა მინისტრობა სჭერია, მაშინ გლადსტონს სურვილი გამოუცხადებია ჰნახოს ჩერჩილი და მოელაპარაკოს ინგლისის ფინანსების ზოგიერთ საგანზე. ჩერჩილი სწვევია გლადსტონს სოფელში და პირველი შემთხვევა ყოფილა ერთმანეთის პირის-პირ ნახვისა. „მეო, უამბნია ჩერჩილს ხსენებულ წიგნის ავტორისათვის: არა ერთხელ გამოვსულვარ და გლადსტონს შევბმივარ საწინააღმდეგოდ და არც ერთხელ არავითარი კრძალვა და რიდი არ მიგრძვნიაო; აქ კი, როცა პირის-პირ ლაპარაკი მომიხდა და ჩემს აზრებს ვუმტკიცებდი, უნებლიედ ვექვემდებარებოდი გლადსტონის დიდებულს და ძლიერს ადამიანობასაო. მე კარგად ვიცნობ სალისბერს, ჩემი კარგი მეგობარია, ამხანაგი დი მოთავე, ეს სახელმწიფოდ მომქმედი კაცი დიდის ნიჭის პატრონიაო. ხოლო სალისბერს ყოველთვის ისე ვუყურებდი, როგორც ჩემს სწორსა, ჩემზე არც მეტსა და არც ნაკლებსა, ერთის-ჩსიტყვით, თუმცა სალისბერი ჩემზე ჭკუია-

---

დამ.

ქარიმამ გარდასწყვიტა უსიკვდილოდ მე ასლის თავს ვერ დავანებებო. გადაეკიდა ტერტერას ვიწვი, შემიბრალე, ასლი მე უნდა მომცეო. ტერტერამ, რომ ვეღარაფრით მოიშორა, უთხრა: თუ ამ ზამთრის ღამეს დედიშობილა ჩვენს ბანზე გაატარებ, მაშინ ასლი შენთვის მომიციაო.

სიყვარულით აღგზნებული ქარიმა არც ამ განსაცდელს დაერიდა. თარით ხელში ავიდა ბანზე და ისეთის ტკბილის ხმით უმღერა თავის სატრფოს, რომ ასლისაც გულმა ვეღარ გაუძლო და სიმღერით ოდიდამ პასუხს აძლევდა — ეს სამიჯნურო დუეტი ძლიერ მგრძნობიერის სიტყვებით არის აღსავსე—მაგრამ ზამთრის ბუნებამ არ შეიბრალა ტანჯული მიჯნური და ღამის სასტიკმა ყინვამ გაუმწარა ქარიმას ასლისთან ტრფიალება.

სიცივისაგან შეწუხებულმა ტანშიშველა ქარიმამ შესტირა ქარვანყრანს—ხარიპარია ვარსკვლავს: ამოდი მალე, გათენდეს ჩქარა... დამიხსენ ამ ტანჯვისაგან შე ჩემო მოსისხლე მტერო, ლურჯ-ყვითელო მნათობოო.

„სარი ილდუზ, მავი ილდუზ
ყანლმ ოლდუნ ქარვანყრან.
საბახ ოლმაზ, ბანა იაზუღ
ყანლმ ოლდუნ ქარვანყრან.
ლურჯ ყვითელო მნათობო
ჩემო მოსისხლევ ქარვანყრან,
არ გათენდა, მე ვიტანჯვი,
ჩემო მოსისხლე ქარვანყრან.

—

სანნა ქარვანყრან დელლარ
ბანა დართლი ქარამ დელლარ,
ხანმ ასლმა შაბან დელლარ
ყანლმ ოლდუნ ქარვანყრან.
შენ ქარვანყრანს გეძახიან,
მე დარდიან ქარიმასა,
ასლისათვის სევდიანსა
ჩემო მოსისხლევ ქარვანყრან.

რა ტანჯვით და რა ვაგლახით მაინც, როგორც იყო, გაათენა ქარიმამ. ხუცესმა რომ ვეღარა გააწყორა, დალოცა ქარიმას და ასლის სიყვარული. ეხლა-კი დაუდგა ქარიმას ბედნიერი წამი და მიაღწია ტანჯვით ნაპოვნ გულისწადილს. მაგრამ ტერტერას მაინც გულში შური ჩაუვარდა. შეუკერა თავის ქალს თილისმა დარაია (კაბა), რომელიც ისე იყო მოწყობილი დუგმებით; ერთი პირი რომ გაიხსნებოდა, მეორედ ისევ იკვროდა. ტერტერამ ჩააცვა ასლის ეს თილისმა დარაია და უთხრა ქარიმას: უკანასკნელად უნდა გამოგცადო რამდენად გიყვარს ჩემი ქალიო: თუ გათენებამდე გაუხსნი ასლის დარაიას, მაშინ შენია და შენი ჩემი ქალიო. მოსწყდა წელი გულ-დალახვრილ ქარიმამ, მაგრამ იმედი ამხნევებდა.... იწვის და იწვის ქარიმა ასლის სურვილით, მაგრამ ვერას გახდა—მეორე დუგმას (ხრიკეს) რომ გახსნის, პირველი უკვე იკვრის. ამასობაში გათენებამაც მოატანა, ქარვანყრანი დაუპატიჟებლად ამოვიდა.

— შედექ! შედექ! შე ჩემო მოსისხლე მტერო, შესძახა დატანჯულმა ქარიმამ. მერე ისევ ვარსკვლავებს შესტირის და ეხვეწება მუშთარს, ზუალს და სხვა მნათობთ, შედექით, შემიბრალეთ, მოიცათ თქვე ჩემის ცოდვით სავსენო, ჯერ ნუ ამოხვალთ, ნუ გაათენებთო.

. . . . . . . . . . . . .

სარი ილდუზ, მავი ილდუზ. *)

*) ილდუზ, ვარსკვლავია თათრულად.

ზოჰრა ილდუზ, ზუალ ილდუზ,
მუშტარ ილდუზ, თაბა ილდუზ,
ყანლმ ოლდუნ ქარვანყრან.

ბოლოს, როგორც ხალხი ამბობს, ქარიმა სიყვარულის ცეცხლით იქვე დაიწვა სატრფოს კალთაში.

ასლისაც მოეკიდა ხელში ცეცხლი, ატირდა, დაუძახა სწორ-ამხანაგთ, ერთი პირი იმღერა მწვავე სიტყვებით, მერე ჰკუაზე შეიშალა და თითონაც თავი ზედ დააკლა.

IV

ცისკრის ვარსკვლავის სიმშვენიერემ ისე მოგვაჯადოვა, რომ ცქერად გადავიქეცით. ცხენებიდამ ჩამოვხდით და იქვე ერთ გორაკზე, მწვანე ხალიჩაზე დავისვენეთ...

მთელ არე-მარეში სრული დუმილია, მხოლოდ ჩვენის ცხენების მწვანე ბალახით ხარბი ხრამუნი ისმოდა.

უეცრივ ტოროლა აფთხრიალდა, ჰაერში ავიდა, ავიდა და თავის გალობით მთელ ბუნებას ამცნო, ახარა გათენების მოახლოვება.

დიდება შენდა ძალო ბუნებისაო!

ეს ერთი წიწკნა ფრინველი თავის დღეში არ შესცდება, რომ განთიადი დროზე არ ამცნოს მთელს ქვეყანას! ან რისგან არის, რომ მამალი ყოველ ღამე მრთსა და იმავე დროს ყივის—ერთს წუთსაც არ გადაცდენს!?..

აგერ შორით მოგვესმა ურმის ჭრიალი... სამწუხაროდ იმ ურმულ ხმას, რომლის სმენითაც სიამოვნობს კაცი ქართლ-კახეთში, აქ ჯავახეთში ვერ გაიგონებთ. ასე მძიმე იყო ოსმალთა უღელი.

მაგრამ ქვეყნისათვის არ გვცალია, ისევ ცას შევხედოთ.

ოღონდაც ბედნიერია მდაბიო ხალხი, რომ ცისკრის ვარსკვლავის ცქერით ყოველ განთიადისას გულიგონება უნათლდება.

ჩვენც ხარბად დავეწაფენით ამ უკვდავებას და ხანგრძლივ ვსტებებოდით ციურ მშვენებით, მთების ცქერით.

ეს იყო ნამდვილი მთიები, განთიადის ვარსკვლავი ერმი, რომელიც სილამაზით, ბრჭყვიალებით და სინათლით ყველა პლანეტებს სჯარბობს. ჩვენი საყვარელი ცისკრის და მწუხრის ვარსკვლავია—მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთით ბრწყი-

ნია და ჩემზე უფრო გამოცდილია, მაგრამ მაინც ჩემი ტოლი მეგონა ყველაფერშიო. გლადსტონის წინაშე-კი სულ სხვასა ვგრძნობდი. გლადსტონთან მე რაღაც მომცრო კაცად მიმაჩნდა ჩემი თავი. გლადსტონი სავსეა დიდებულებითა, მას მინიჭებული აქვს ყველაფერი ის, რასაც ეძახიან სულის სიდიადესაო.“ (რ. ვ.)

— მეცნიერს რიჩარდ მედდენს, გამოუძიებია, რომელის მეცნიერების სწავლული და მწერალი რამოდენა ხანსა სცხოვრობს ორთა-შუა რიცხვით: ბუნების-მეტყველნი და მათემატიკოსნი 75 წლამდე, ფილოლოგები და არხეოლოგები—66; მეკანონეები (юристы) და ადმინისტრატორები, ამათში პარლამენტის დეპუტატებიც არიან—60; რომანების მწერალნი—62; დრამების მწერალნი—61; პუბლიცისტები და ჟურნალ-მეგაზეთენი—58; მასწავლებელნი საშუალო სკოლებისა—57; მასწავლებელნი დაბალ სკოლებისა—55; ლირიკული პოეტები—54.

— ბერლინის პროფესორს იოგან ლუდვიგ კასპერს გამოუძიებია და შეუდგენია სქემა, საცა ნაჩვენებია ხანგრძლიობა სხვა-და-სხვა მოღვაწისა. ამ სქემაში მოყვანილია ასზე რამდენს რაოდენი წელიწადი უცხოვრია, აი ის სქემა:

| | 70 წლამდე არ-მიღწეულნი | 70 წლამდე და მეტამდე. | 75 წლამდე და მეტამდე. | 80 წლამდე და მეტამდე. | 85 წლამდე და მეტამდე. | 90 წლამდე და მეტამდე. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მ ი ღ წ ე უ ლ ნ ი | | | | |
| ღვთის მეტყველნი | 11 | 42 | 27 | 14 | 5 | 1 |
| სოფლის მეურნენი და მეტყევენი | 13 | 40 | 26 | 14 | 6 | 1 |
| სხეული მოხელენი | 23 | 35 | 24 | 43 | 4 | 1 |
| ვაჭრები | 32 | 35 | 21 | 8 | 3 | 1 |
| ოფიცრები | 24 | 32 | 23 | 13 | 6 | 2 |
| წვრილი მოხელენი | 30 | 32 | 22 | 11 | 4 | 1 |
| ადვოკატები | 42 | 29 | 16 | 10 | 3 | 0 |
| მხატვარნი | 46 | 28 | 17 | 7 | 1 | 1 |
| მასწავლებელნი | 45 | 27 | 17 | 8 | 3 | 0 |
| მკურნალნი | 55 | 24 | 13 | 6 | 2 | 0 |

— წელს მთელს ქვეყნიერობაზე პური და ხორბლეულობა შარშანდელზე ნაკლები მოსულა, სიმინდის გარდა. წლევანდელს წელიწადს შარშანდელზე დაჰკლებია 250 მილლიონი ფუთი ხორბალი; აქედამ 117 მილლიონი ფუთი იმ ქვეყნებს, რომელიც პურს სხვიდამ არ ეზიდება და 133 მილლიონი იმ ქვეყნებს, რომელიც პურს სხვაგან ჰყიდულობს. რუსეთში პური ნაკლები მოსულა 292 მილლიონითა, ფშვრია და სიმინდი ბლომად მოსულა ასე, რომ ფშვრია შარშანდელსა სჭარბობს 60 მილლიონ ფუთითა, ქერი-კი 35 მილლიონ ფუთით ნაკლები მოსულა. სამზღვარ-გარეთიდამ პურს სასყიდლად თხოულობენ იმდენს, რომ ასს გასასყიდად გასაშვებ ფუთზე ხორბალი 92 მოდის და შავი პური 98. იშვიათად მომხდარა, რომ ამოდენა მუშტარი პურისა ჰყოლოდეს რუსეთსაო. ამბობენ, რომ ეს ამისთანა გარემოება ასწევს ფასსა და ვაი თუ დიდმა ფასებმა წაიტყუოს პურის პატრონები და ისიც გააყიდინოს, რაც შინ სახმარად საჭიროაო. ეს სახეში უნდა იქონიონ პურის პატრონთა, თორემ შესაძლოა შინაც დააკლდეთ პური და უფრო მეტ-ფასად სასყიდელი გახდესო. ფასების აწევას ის გარემოებაც გვანიშნებსო, რომ წლევანდელი ანეულები დიდს იმედს არ იძლევიან რუსეთში და ნამეტნავად სამხრეთის რუსეთშიო. (ტ.პ.გ.).

— დოქტორს ვუაბლეს ერთი ადვილი და უებარი წამალი მოუგონია მეჭეჭის მოსარჩენად. იგი ამბობს, რომ მე არა ერთხელ მომირჩენია მეჭეჭისაგან და ამისათვის მახმარია თაფლიო. ხელზე მეჭეჭი მოურჩენია მით, რომ წყალში გაურევია თაფლი და იმით უბანინებია ხელი. უფრო უკეთესია თაფლის მალამო გაკეთდეს და ის იდოს კაცმა მეჭეჭზედაო. ერთს ბაშვს უშველებელი მეჭეჭი ჰქონია ხელის გულზე და მკურნალს რამდენსამე დღეზე მოურჩენია ბაშვი თაფლის მალამოთი. მკურნალს ჰაიარდს უცდია თაფლით წამლობა წითელის ქარისა (рожа), რადგანაც ამ რიგი წამლობა ხალხისაგან გაუგონია და ამბობს, რომ ამ სნეულებისათვის თაფლი ისეთი კარგი წამალი გამოდგაო, რომ წითელ ქარს, საცა-კი შემხვდება და ტანის რა ადგილასაც გინდ იყოს, ამით ვარჩენო. ამას ბევრი ხერხი არ უნდა თურმე: საკმაო სქლად წაუსონ ტილოს, თუ რამ სხვას თაფლი და ის დაადონ, საცა სატკივარია წითელის ქარისა, თუ წითელი ქარი თავშია ავარდნილი, ჯერ თავი უნდა მოჰპარსონ სნეულსა და მერე თაფლის მალამო დაადონო და სამ-ოთხ საათში ერთხელ მალამო სცვალონო. ტკივილები, როგორც ამბობს მკურნალი ჰაიარდი, ყოველთვის უამდებოდა სნეულსაო, აგრეთვე პირიდამაც ზიდილიც მოისპობოდა ხოლმე და თვით სნეულებაც განქარდებოდაო; თან სნეულს ვასმევდი ჩვეულებრივ წამალს ციებისასაო. სამ-ოთხს დღეზე ავადმყოფი კარგად შეიქნებოდა ხოლმეო. (ნ. ვ.).

# უცხოეთი

—

**იტალია.** ამ დღეებში გაიხსნა იტალიის პარლამენტი. დეპუტატებმა წარუდგინეს მთავრობას რამდენიმე ინტერპელიაცია შესახებ გარეშე და შინაგან პოლიტიკისა. შემდეგ ამისა მთავრობა დაეკითხა პარლამენტს ენდობა თუ არა იგი მთავრობას. პარლამენტს აღარ დასცალდა გარდაეწყვიტა ეს საგანი ერთი მოულოდნელი შემთხვევისა გამო: პარლამენტის წევრმა იმ ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო მმართველობის სხვა-და-სხვა ფორმას, დაჰგმო ზოგიერთი კანონები და მასთან კრისპის მართებლობაც. იმბრიანმა არ იკმარა ეს, მან წაიკითხა ერთი წერილი, რომელიც 1855 წელს „დაილი ნიუზში“ იყო დაბეჭდილი. წერილში პატივისცემულოდ იხსენიებს ავტორი იტალიის ეხლანდელ მეფეთა დინასტიას და გარდაწყვეტით ამბობს, რომ იტალია კარგს არას უნდა ელოდეს ამ დინასტიისაგანაო. „ვის ეკუთვნის ეს წერილი? იკითხა ბოლოს იმბრიანმა; მინისტრთა საბჭოს, ეხლანდელი პრეზიდენტი მას წარსულ ცოდვათათვის დაუყოვნებლივ ციხეში გაჰგზავნიდა! წერილი ხელ-მოწერილია ფრანჩესკო კრისპის მიერ“. ორატორმა გამოამჟღავნა თუ არა ავტორის ვინაობა, მაშინვე პარლამენტში დიდი მოძრაობა შეიქმნა. უკიდურეს მემარცხენეთა დასის და მემარჯვენეთა ოპოზიციის ზოგიერთ წევრთ დიდის ამბით მიულოცეს იმბრიანს. მთავრობის მომხრე დეპუტატებმა წინააღმდეგობა განაცხადეს. იმბრიანმა თავისი სიტყვა ასე დაათავა: „იტალიის სახელის ასამაღლებლად საჭიროა გაუქმდეს ეხლანდელი სამინისტროო“.

—

**საფრანგეთი.** Revue des Deux Mondes“-ის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია წერილი, რომელიც შეეხება სოციალისტთა წინააღმდეგ ბრძოლას. ავტორი უპირველეს იარაღად სოციალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად რეფორმების შემოღებას ასახელებს. „ჩვენაო, ამბობს ავტორი, ვურჩევთ კონსერვატორებს არ ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმების შემოღებას, არამედ მათ ეს უნდა დასდვან თავისი პროგრამის საფუძვლად. ნუ გაუკვირდებათ ჩვენი რჩევა. ბელგიაში და ინგლისში უალრესნი რეფორმანი კონსერვატორთა სამინისტრომ შემოიღოო„.

—

**გერმანია.** ამას წინად მთავრობამ დახურა რამდენიმე საზოგადოება სოციალისტებისა. ამბობენ, რომ მთავრობას დიდი შრომა დასჭირდება გასარჩევად იმ დოკუმენტებისა, რომელნიც წაართვეს სოციალისტებს. პოლიციას ჩაუვარდა ხელში რამდენიმე კერძო წერილი. ზინგერს, სოციალ-დემოკრატთა დასის მოთავეს, უპოვეს რამდენიმე წერილი მიწერილი გამგე რშტეინის მიერ, რომელიც ოდესღაც კონსერვატულის გაზეთის რედაქტორად იყო. ამბობენ, რომ სოციალისტთა კლუბებს გააუქმებენო. სოციალისტები დიდად შიშობენ, მთავრობამ არ განიზრახოს სოციალისტთა ორგანიზაციის მთლად მოსპობა. ოთხმოცამდე ადგილი გახხრიკეს. გაჩხრიკეს სოციალისტთა დეპუტატები: აუერი, ზინგერი, ბებელი და ფიშერი. სოციალისტთა საბჭო აცხადებს, რომ იგი დროებით სწყვეტავს თვისს მოქმედებას. დასის ხელმძღვანელობა გადავა პარლამენტში ამორჩეულ სოციალისტთა დეპუტატების ხელში“.

—

**ოსმალეთი.** „დაილი ხრონიკლ“-ი ამტკიცებს, რომ რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში სულთანისთვის შეუთვლია, რომ თუ ოსმალეთის სატახტო ქალაქში ცოტაოდენი უწესოება კიდევ მოხდა, მაშინ სახელმწიფოების შეერთებული ესკადრა დარდანელში შევა, თუნდ სულთანის ფირმანიც არა ჰქონდეთო.

—

ხმა დადის, რომ ინგლისის ლიბერალთა დასის წინამძღოლი როზბერი კონსტანტინოპოლში აპირებს წასვლასაო.

## თეატრის მატიანე.

26 ნოემბერი.

„კომლი უცეცხლოდ“, დრამატული სურათი უგანათ.თ. გ. შარკაშიძისა.

„ადლუმი“, კომედია 4 მოქმედ. გადმოკ. გ. გუნიას-მიერ.

გრაფ გასპარო ალფიერი (კ. მესხი) მიასწრებს თავისს საყვარელს ცოლს სეზარინას (ეფ. მესხის ასული) ცალის ფეხით შიშველს, ტახტზე მწოლიარეს და იმის წინ მუხლ მოყრილს პაჟს ჯაკომო სან-როას (ქ-ნი ჩხეიძის ასული), უცბად შეიპყრობს ეჭვი, შევარდება, იშიშვლებს მახვილს, მოჰკლავს პაჟს, თვით ასე ჰგონია, და თითონ-კი თავს დაიჭრის. ამას შემდეგ, რასაკვირველია, ცოლ-ქმარნი გაშორდებიან ერთმანეთს, პაჟი სრულიად დაიკარგება, ხოლო დაკოდილს გრაფს სწამლობს მისი მეგობარი ექიმი რუბინი (ბ-ნი სვიმონიძე). მოქმედება იწყება იმ დროიდამ, როდესაც გრაფისას მიდის ბიძა გრაფის მეუღლისა კარდინალი (ბ-ნი კანდელაკი), რომელსაც სასულიერო მთავრობისაგანა აქვს მინდობილი ამ საქმის გამოძიება. აქ პირველად ჰნახავენ ერთმანეთს სასოწარკვეთილებით სავსე სეზარინა და გრაფი ალფიერი, განკურნებული ჭრილობისაგან, მაგრამ ჯერ კიდევ ავადმყოფი, ჯერ კიდევ სუსტი. კარდინალი სცდილობს მოარიგოს როგორმე ცოლ-ქმარი, მაგრამ ამაოდ, გრაფის რისხვას საზღვარი არა აქვს, იგი თავისს დღეში ვერ შეირიგებს თავისის სახელის შემრცხვენელს, მოღალატე ცოლს. ამაოდ არწმუნებს მეუღლე, რომ არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის თქვენს წინაშეო. ამავე დროს კარდინალი უცხადებს გრაფს, რომ სასამართლომ სან-როას სიკვდილისათვის ხუთის წლით დაპატიმრება მოგისაჯათო. სეზარინას ამ ამბის გაგონებით ელდა ეცემა და სასოწარკვეთილება უფრო ემატება. გრაფი საწამლავის შესახებ ჩამოაგდებს ლაპარაკს და ისეთ ძნელად გამოსარკვევ მდგომარეობაში არიან პიესის მომქმედნი, რომ საზოგადოება სულ-განაბული მოელის საშინელს დრამას, რომელიც საცაა მის თვალ-

---

ნავს და განთიადის წინ აღმოსავლეთიდ. ამიტომაც უწინდელ მეცნიერებს ეს ვარსკვლავი ორ სხვა-და-სხვა ვარსკვლავად მიაჩნდათ, — აღმოსავლეთიდ გამოჩნდებოდა ლ ი უ ც ი ფ ე რ ს ეძახდნენ, ე. ი. გათენების წინამორბედს და დასავლეთიდ რომ გამოჩნდებოდა ვ ე ს პ ე რ-ს ეძახდნენ, ე. ი. მწუხრის ვარსკვლავს. ბოლოს ძლივს მიხვდნენ, რომ ორი ვარსკვლავი-კი არა, ერთი და იგივე პლანეტაა, რომელიც ხან წინ უსწრებს მზეს ამოსვლას, ხან თან მისდევს და მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტზე რჩება.

მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ცისკრის ვარსკვლავი და ჩვენი დედამიწა ერთმანეთს ძლიერ ჰგვანანო, რა ნივთებისგანაც ჩვენი დედამიწის სხეული შესდგება, იმავე ნივთებისაგან ვ ე ნ ე რ ა (ცისკრის ვარსკვლავი) შესდგებაო. ვენერაზედაც მოიპოება უზარ-მაზარი მთანი და კლდენი, როგორც დედამიწაზე იქაც ჰაერია, რომელშიაც ღრუბლები დაცურავენო. აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ და შესაძლებელი ჰგონიათ, რომ იქნება ვენერაზედაც ჩვენისთანა გონიერი არსებანი სცხოვრობენო და იქნება ისინი კიდევ ჩვენ პლანეტას, დედამიწას, ჩვენსავით იკვლევენ ათვალიერებენო.

როგორც დედამიწას არა აქვს თავის საკუთარი შუქი, ისე ცისკრის ვარსკლავია სრულებით შავი და ბნელი, ხოლო მზისაგან მიღებულ შუქსინათლით ასე საამოდ კაშკაშებს, და ბრჭყვიალებას ჩვენკენ ჰგზავნის. დღისით ჩვენი დედამიწა როცა ძალზე განათებულია, მზის გამო, მაშინ ჩვენი პლანეტა, დედამიწა, ვენერაზე მცხოვრებთათვისაც ისეთივე კეკლუცი ვარსკვლავი იქნება, როგორც ვენერა ეხლა ჩვენთვისაა.

გვრწამს და გვიწამებია მეცნიერთა გამოკვლევანი და იმათი აზრი, მაგრამ მაინც ვინ დაგვიშლის თავი ოცნებას მივცეთ და ამ ლამაზ ვარსკვლავს ვეტრფიალოთ.

ეს ვარსკვლავი, ვენერა, უფრო იმიტოა კეკლუცი, რომ არ თრთის, არც ციმციმებს სხვა ვარსკვლავებივით, რის გამოც საამოდ ნაზად, თეთრად აშუქებს, მეტადრე ეხლა, უმთვარო ღამეში სრულის ძალით და მშვენებით მეფობს.

ეს ის მნათობია, რომელც არაბულად ოტარიდად იწოდება და რომელსაც გზად მიმავალი ავთანდილი, ცას რომ შესტიროდა, უმღერდა:

„აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი,
შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ
ჩემთვის ბნდებიან,
მთავარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და
მოწმად მყვებიან.
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან“.*)

*) ო ტ ა რ ი დ ი არაბულათაა, ე რ მ ი ქართულათ, Venera (ვენერა) ლათინ.

მ უ შ თ ა რ ი არაბ., დ ი ა ქართ., Iupiter (იუპიტერ) ლათინ.

ზ უ ა ლ არაბ., კ რ ო ნ ო ს ქართ., Saturnus (სატურნუს) ლათინ.

ა ს პ ი რ ო ზ არაბ., ა ფ რ ო დ ი ტ ი ქართ., Mercurius (მერკურიუს) ლათ.

მ ა რ ი ხ ი არაბ., ა რ ი ა ქართ., Mars (მარს) ლათინ.

ბერძნები და ლათინები თავიანთ მითოლოგიურ ღმერთების სახელებს დაანათლებდნენ ხოლმე ყველა პლანეტებს. ამიტომაც ცისკრის ვარსკვლავს, რადგან ყველა ვარსკვლავზე კეკლუცია, მშვენიერების ღმერთას სახელი, ვ ე ნ ე რ ა, უწოდეს.

ავტორი.

აქ არ შეიძლება არ მივაქციო მკითხველის ყურადღება, რომ დიდებულ შოთას ზედმიწევნით სცოდნია ასტრონომია (ვარსკვლავთ-მრიცხველობა). ზემო მოყვანილ ტაეპში პოეტს არა აქვს მოხსენებული მხოლოდ ის ორი ვარსკვლავი, ურანოსი და ნეპტუნოსი, რომელიც რუსთაველის შემდეგ აღმოაჩინეს.

უ რ ა ნ ო ს ი (Uranos ბერძნ.) 1781 წელს 13 მარტს ინგლისის ასტრონომმა ვილიამ ჰერშელმა შემთხვევით აღმოაჩინა, ხოლო ნ ე პ ტ უ ნ ო ს ი (Neptunus ლათინ.) საფრანგეთის ასტრონომმა ლევერიემ.

მეტის-მეტად გასაოცარია ამ მეცნიერის ნიჭი! ლევერიემ 1846 წელს 31 აგვისტოს, პარისის სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა თავისი შესანიშნავი გამოანგარიშება, რომლითაც იგი ამტკიცებდა, რომ ამა-და ამ დროს, ამა-და-ამ ალაგას ცაზე უეჭველად უნდა გამოჩნდეს ახალი მნათობი (პლანეტი), რომელიც 36 ჯერ უფრო დაშორებულია მზისაგან, ვიდრე ჩვენი პლანეტი, დედამიწაო— 4,170 მილიონი ვერსია მზიდამ ნეპტუნოსამდე! ამასთანავე ახალი პლანეტი 85-ჯერ დედამიწაზე და მზის გარშემოვლაზე 165 წელიწადს დროს ანდომებსო. თვით პლანეტის (ვარსკვლავის) სხეული 24-ჯერ მძიმეა დედამიწის სხეულზედაო. პლანეტი ურანოსიც ცოტად თუ ბევრად ამ ახალ პლანეტის (ნეპტუნოსის) ზედგავლენის ქვეშ იმყოფებაო.

27 სექტემბერს იმავე წლისას უკვდავმა მეცნიერმა ლევერიემ წერილით აცნობა ბერლინის ასტრონომს გალლეს და სთხოვა ამა-და-ამ ალაგას მონახეთ ცაზე ჩემ მიერ აღმოჩენილი ახალი ვარსკვლავი, რადგან თქვენი, გერმანული იარაღები (დურბინდი, ტელესკოპი) უფრო ნამდვილნი არიანო.

გალლემ იმავე საღამოს იპოვა ლევერიეს ახალი ვარსკვლავი ნეპტუნოსი სწორედ იმ ალაგას, რა ალაგზედაც ლევერიე ანიშნებდა, თუმცა-კი ლევერიეს თვითონ თვალითაც არ ენახა და მხოლოდ გამოანგარიშებით, გონების თვალით მიხვდა!

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება).

წინ უნდა დატრიალდეს და რომელსაც ყოველივე ხელს უწყობს, მაგრამ...

უცბად საქმე სულ სხვა გვარად დატრიალდება. კარდინალი იმათის თანადასწრებით, ხოლო იმათ უხილავად-კი ჰკითხავს მოსამსახურეს ანტონიოს (ა. ადამიძე), რომელიც დასწრებია მთელს ამ ამბავს. გრაფი და მისი მეუღლე მოსამსახურის ლაპარაკს ყურს უგდებენ ნახევრად შეღებულ კარებებიდგან. ანტონიოს ლაპარაკიდგან გამოირკვევა, რომ გრაფის მეუღლეს ფეხი აღრძვია, თუ ძარღვი გაჰნასკვია ფეხისა, უცებ დაცემულა ტახტზედ ტკივილისაგან შეწუხებული, პაჟს, იქ დამსწრეს, ფეხსაცმელი გაუხდია მისთვის; სწორედ ამ სურათს შემოსწრებია გრაფი და ამ უბრალო გარემოებას ისე აუღელვებია მრისხანე ყმაწვილი კაცი, რომ თავ-დავიწყებულს მახვილისათვის მიუნდვია თავისის გულის წყრომის განელება. რაღა თქმა უნდა, რომ უცბად გაიღება ორივე კარები და გრაფი და სეზარინა მკერდში ჩაიკრავენ ერთმანეთს, მაგრამ პაჟი? სასჯელი? ან აჩრდილი უბრალოდ მოკლულის პაჟისა, რომელიც ყოველთვის თვალ-წინ ედგება ლანდად ცოლ-ქმარს, და ყოველს სიტკბოებას ჩაუშხამებს? განა ეხლა-კი, როდესაც გრაფი დარწმუნდა უდანაშაულობას, უბრალოებას თავისის საყვარელ მეუღლისას, შესაძლებელია მათი ერთად ცხოვრება? არა და არაო, ამბობს გრაფი, მაგრამ უცეცხლოდ ავარდნილს კომლს, აქაც ჩქარა განაბნევს ქარი. შემოდის პაჟი და შემოაქვს ბრძანება, ანუ ახალი განაჩენი, რომლითაც პირველი განაჩენი გაუქმებულია და, რადგან პაჟი სრულიად უვნებლად გადარჩენილა ჰრილობას, გრაფი განთავისუფლებულია სასჯელისაგან.

აი მოკლედ შინაარსი უგანათ. თ. გ. შარვაშიძის ერთ-მოქმედებიან დრამატიულის სურათისა „კომლი უცეცხლოდ". თვით პიესის შესახებ რა გვეთქმის იმის მეტი, რომ იგი შესაძლებელობის საფუძველს მოკლებული არ არის და რაკი შიგ მოთხრობილი ამბავი სინამდვილეს მეტად მიმსგავსებულია, ამიტომ ძლიერად ჰმოქმედებს კიდეც მაყურებელზე. მთელი ეს სურათი ისეთის თან-დათანობით, ისეთის ხაზ-გამბით სწარმოებს, თვით გრაფის-მიერ გულის წყრომით ნაამბობი ამბავი თავისის უბედურებისა ისე სწვდება და იპყრობს ადამიანის გულს მისის თანაგრძნობით, რომ ასე გეგონება, ყოველივე ეს მართალი ამბავიაო, ფოტოგრაფიულის სინამდვილით გადმოღებული ხელოვანის მხატვრისაგან. ამას ზედ დაურთეთ წმინდა, ნამდვილი ქართული ენა, ლიტერატურულ ღირსებით სავსე და დამერწმუნებით, რომ სურათი ჯეროვანის სიამოვნებით უნდა მოესმინა კვირას, 26 ნოემბერს, თეატრში დამსწრე საზოგადოებას, თუ არტისტების ღონე და ნიჭი შესწვდა მწერალის-მიერ დაკისრებულს მოვალეობას და სასცენო და სალიტერატურო ღირსებას პიესისას მსახიობთა გულ-მოდგინეობამ არა მოაკლო რა, არა ჩამოათალა რა.

ბ-ნმა ეფემია მესხის ასულმა ისეთის სავსებით დაგვიყენა თვალ-წინ სასოწარკვეთილება და მწუხარება ყმაწვილის ქალისა, რომელსაც ქმარი უყვარს, უდანაშაულოა, ბრალსა სდებენ, ცალკე შეურაცხყოფილი თავ-მოყვარეობა ძალის ატანს თავი იმართლოს როგორმე და ცალკე თვით ესევე საზარელი ბრალი მის გულს იმდენად საშინლად აშფოთებს და ატოკებს რისხვით, რომ ველარა უთქვამს-რა და დადუმებულია, რომ სცენიურის ხელოვნებით მოჩვენებული მწუხარება ნამდვილს მწუხარებას დაამსგავსა. ამ ყმაწვილს ქალს ისეთი ნიჭი აქვს სულიერის მოძრაობის აღნიშვნისა, როგორც სახის მოძრაობით, ისე ხმის კილოთი, რომ უნაკლულოდ შეუძლიან დაანახვოს მაყურებელს მწუხარებით გულ-მოკლულობა, უცები გამსჭვალვა რომლისამე უბედურებით და უცები სიხარული. ერთი აღმოკვნესა, ერთი შეკივლება და თვით ეს აღმოკვნესავე და ეს კივილი აგებინებს მსმენელს, თუ რა ძლიერად ატოკდა იმ წამს გული შემკივლებელისა, საზარელის ელდით ცემული, ან რაგვარად შეიფრთხიალა სიხარულითა და ბედნიერებით. აი ამ ნიჭის ძლიერის ფარ-ხმალით შეიარაღებულს არტისტ-ქალს, რაღა თქმა უნდა, ჩინებულად უნდა ჩაეტარებინა სეზარინას როლი, რომელშიაც ერთს დროს აღსანიშნავია ძლიერი მწუხარება და ძლიერივე სიხარული. დანარჩენ აღმასრულებელთა შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ყველანი კ. მესხის ჩინებულ თამაშობიდგან მოკიდებული, ხელს უწყობდნენ პიესის მშვენიერს წარმოდგენას.

კომედიამ „აღლუმმა" ჩვეულებრივ ბევრი აცინა მაყურებლები და დიდად ასიამოვნა ამ პიესაში ბ-ნმა საფაროვის ასულმა თავისის შეუდარებელის აღსრულებით ყმაწვილის ცქრიალა ქალის როლისა. ბ-ნ აბაშიძის არ ყოფნისა გამო ივლიან ჰარხალაძეს როლს ასრულებდა ბ-ნი კანდელაკი, მირვანდელისას (შათირიშვილის ნაცვლად) ბ-ნი მჭედლიშვილი, მუბუქაშვილისას (კანდელაკის ნაცვლად) შათირიშვილი, რამაც თუ არა დააკლო-რა უნაკლულოდ პიესის აღსრულებას, არა შეუმატნია-რა. დანარჩენი როლები ძველებურადვე იყო განაწილებული და ამიტომ ხელ-მეორედ სათქმელი და აღსანიშნავი აღარა არის-რა. საზოგადოება ორისავე პიესით დიდად მადლიერი დაბრუნდა თეატრიდამ. ბ-ნ ეფემია მესხის ასული დიდის ამბით მიეგებნენ და ხანგრძლივის ტაშის ცემით გამოუცხადა საზოგადოებამ თავისი თანაგრძნობა.

ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ჩვენს სცენაზე პირველად „მადამ სან-ჟენი", 4 მოქმედებიანი კომედია სარდუსი და მოროსი, თვით მობენეფისეს მიერვე ნათარგმნი, რომელშიაც მადამ სან-ჟენის როლს აღასრულებს ბ-ნი ეფემია მესხის ასული, ხოლო ნაპოლეონისას ბ-ნი მესხი.

მანოელიძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში" გამოცხადებულია, რომ უნდა გაუკეთდეს ბანდეროლი ჩაის იმ ადგილებში, სადაც გასახსნელ ჩაის რაოდენობა მცირეა.

სახელმწიფო ბანკი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა მისი დაწესებულებანი, ვიდრე ახალი რამ ცვლილება მოხდებოდეს, შემდეგის ფასით იყიდიან რუსეთის ოქროს ფულსაო: ახლად მოჭრილს იმპერიალს (თუმნიანს ოქროს) 1490, ნახევარ იმპერიალს (ხუთ-მანეთიანს) 745, ძველს იმპერიალს (თუმნიანს) 1534, ახალს ნახევარ-იმპერიალს 767, ბაჯაღლო ოქროს (სამ-მანეთიანს) 460 კაპეიკათ. ახალის იმპერიალისა და ნახევარ-იმპერიალის გაყიდვაც ამავე ფასად იქმნება პეტერბურგისა, მოსკოვისა, ვარშავისა, კიევისა, ოდესსისა, რიგისა, დონის როსტოვისა და ხარკოვის კანტორებში და განყოფილებებში: არხანგელსკისა, ასტრახანისა, ასხაბათისა, ბაქოსი, ბათუმისა, ბერდიანსკისა, ვლადივოსტოკისა, დვინსკისა, ეკატერინოდარისა, ირკუტსკისა, კამენეც-პოდოლისა, კოვენსკისა, ლოდზისა, ლიბავისა, ნიჟეგოროდისა, ნიკოლაევსკისა, სევასტოპოლისა, სემიპალატინსკისა, ტაგანროგისა, ტომშევისა, ტფილისისა, ხაბაროვსკისა, ხერსონისა, ჩენსტოხოვისა და ფეოდოსიისაში. ხოლო თუ კურსის ცვლილება მოხდება, მაშინ ახალი კურსი დაიწყებს მოქმედებას არა იმავ დღეს, არამედ მეორე დღიდგან.

ხოლერისა და ხოლერის მზგავს ავადმყოფობათა შესახებ: პეტერბურგში 18-დამ 25 ნოემბრამდე ავად გამხდარა 73 კაცი, მომკვდარა 46; ვილნის გუბერნიაში 5-დამ 11 ნოემბრამდე ავად გამხდარა 259, მომკვდარა 94; კიევისაში გამხდარა ავად 5-დამ 11 ნოემბრამდე სულ 101 სული, მომკვდარა 34; ორლოვისაში 22 ოქტომბრიდამ 18 ნოემბრამდე ავად გამხდარა 16, მომკვდარა 6.

**სიმფეროპოლი.** (ნ. ვ.) ყინულებისაგან გენიჩესკში დაზიანებული 150 კაცი გადაარჩინეს. ზოგიერთები დაზრნენ. საქონელი ზღვაში გადაჰყარეს. ზარალი მეტად დიდია.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო" აცხადებს: „ის ხმა, ვითომ რუსეთი და საფრანგეთი დანარჩენ სახელმწიფოთ განდგომოდნენ კოსტანტინოპოლში, სრულიად უსაფუძვლოა".

**პარიზი.** დეპუტატთა პარლამენტმა მთელი სხდომა სასჯულო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ სჯას მოანდომა. სხდომა რომ დაიწყო, რომელმაღაც კაცმა ქანდარიდამ ორჯელ დასცალა რევოლვერი სრულიად ცალიერს ზალაში. არავინ არ იქმნა დაჭრილი. უცნობი კაცი მაშინვე დააპატიმრეს. დაპატიმრებულს სახელად ლენჟერი ჰქვიან, 23 წლისაა, პარისში მსახურობს ნოქრად, ძალიან მშვიდობიანად სცხოვრობდა და პოლიტიკაში არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა.

მინისტრთა საბჭოში ჯავშნიან გემთა დაღუპვის საქმის შესახებ არსებულ გამომძიებელ კომისიის დასკვნა გამოაცხადა ზღვათა მინისტრმა. გამომძიებელ კომისიის აზრით, ამ საქმეში პასუხის-მგებლობა საადმირალო ხომალდის „ფორმიდაბლ"-ის სარდალს მოეთხოვება, რადგანაც ხომალდს მანევრი თავისს დროზე არ გაუკეთებია, მაგრამ ამავე დროს კომისია ამბობს, რომ შეიძლება გარემოებათა მიხედვით შეღავათიც მიეცსო. გამომძიებელმა კომისიამ საჭიროდ სცნო ადმირალს ჟერვეს ფორმალური ინსტრუქციები გაუგზავნოს დაუყოვნებლივ, რათა ამითი ღამის მანევრების დროს მოსალოდნელი ხიფათი შეემცირებინა, რადგანაც ღამით მომხდარ უბედურებას სერიოზული შედეგი მოჰყვება ხოლმეო.

27 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 26 ნოემბერს, წმ. გიორგობასა და მემკვიდრე ცესარევიჩის სახელწოდების დღეს, საზამთრო სასახლეში მიტროპოლიტის პალადის მიერ გარდახდილ იქმნა სადღეგრძელო პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდი ჰერცოგი ჰესსენისა და აგრეთვე დიდნი მთავარნი და მთავრინანი. პარაკლისის გარდახდის შემდგომ სასახლეში გამართულ იქმნა ჯარის-კაცთათვის სადილი, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორმა ინება სადღეგრძელო გიორგის ჯარებისა. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მათის უდიდებულესობის სადღეგრძელო მიირთვა. სასახლის კარიდორებში ხანგრძლივი „ურას" ძახილი ისმოდა.

26 ნოემბერს, საზამთრო სასახლეში, ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ იმპერატორის ალექსანდრე III ის სახელის პრუსიის გრენადერთა რაზმის დეპუტატნი სამგზავროდ შეიარაღებულნი. დეპუტაცია, რომელიც შესდგებოდა კაპიტანის შტრანცისა, ჶელდჶებელისა და ორი გრენადერისაგან, ამის შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩის სახელწოდების დღესასწაულობას დაესწრნენ.

25 ნოემბერს დაიწყო კრება რკინის გზათა და საბაჟო უწყებათა წარმომადგენლებისა; ამ კრებამ უნდა განიხილოს ზოგიერთი საქმენი რკინის გზათა და საბაჟო უწყებათა აგენტებისა და აგრეთვე იქონიოს სჯა საბაჟო გარდასახადთა შესახებ.

**მოსკოვი.** გუბერნიის ერობამ თავისის ხარჯით იკისრა აშენება და შენახვა 20 სასწავლებლისა მათის უდიდებულესობის დაქორწინების გამო.

**ვლადივოსტოკი.** სეულიდამ იუწყებიან, რომ ევროპის ვაჭრობისათვის ახლად გახსნილი ნავთსადგური მოკნო, რომელიც კორეს სამხრეთ ბოლოზე იმყოფება, მთელის ევროპის ყურადღებას იპყრობს როგორც თავისის სამხედრო საზღვაო, ისე სავაჭრო თვისებებით და შეიძლება უკიდურესს აღმოსავლეთში იგი ერთ დროს განხეთქილების საგნად შეიქმნესო.

როგორც ჰიოკაგამადამ იუწყებიან, იაპონიის მთავრობა აშურებს თურმე ლიატონგიდამ თავისი ჯარები მალე გამოიყვანოს. კუნძული დეკემბრის ნახევარს მთლად გაწმენდილი იქნებაო.

**ბერლინი.** იმპერატორი მხატვარის მენტცელის 80 წლის შესრულების დღესასწაულობას დაესწრო.

**რომი.** სამხედრო მინისტრმა ლივორნის ჰარნიზონს ბრძანება მისცა, ისეთივე პატივი სცენ რუსის გარდაცვალებულს გენერალს, ვინკერს, როგორი სამხედრო პატივითაც იტალიის გენერლებს მოეპყრობიან ხოლმე.

# განცხადებანი

**სომეხ ნერსესიანთა სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში** 29 ნოემბერს 1895 წ., საღამოს 8 საათზე, საჯაროდ ვაჭრობით იქმნება გაცემული იჯარით ოთხის წლის ვადით 1896 წ. 1-ლ იანვრიდამ: 1, ყავახანის შენობა თავისის სადგომ ეზოთი, რომელიც რიყეზე იმყოფება ტფილისის VIII ნაწილში და ეკუთვნის სემინარიას; ამ ჟამად იჯარით ამ ადგილს შემოსდის წლიურად 631 მან. და აგრეთვე დუქანი, რომელიც ეკუთვნის სემინარიას და იმყოფება ტფილისის მაზრის სთელეთში; იჯარით ამ ჟამად დუქანი იღებს წლიურად 216 მან. იჯარით გაცემის პირობები მსურველთ გარდა კვირა-უქმე დღეებისა შეუძლიანთ ყოველ დღე ნახონ სამზრუნველოს კანცელარიაში დილის 10-დამ 12 საათამდე. (1—1).

ივანე იაკობის ძე
**დოლგოლენკო**
იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.
(5—1969—4).

**ქ. თელავს**
**იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი** ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით; ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორისჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველ გალავანში. სყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:
Г. Владикавказъ, Александровскiй пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.
(8—2023—6).

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება
**სალხინო საზანდარი**
მეოთხე გამოცემა, შევსებული და შესწორებული
(ლიტოგრაფიის სურათებით უდიდ)
შედგენილი და შეთხზული
გიორგი ი. სკანდარნოვისაგან.
**ფასი ერთი მანეთი.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის", „ქართველთა ამხანაგობისა" და ზაქარია გრიქუროვის მაღაზიას და აგრეთვე შემდგენელს, (აბას-აბადის მოედანზე, № 28).

ვინც ათ ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 25%.

ადრესი: Тифлисъ, Аббасъ-Абадская площадь, домъ № 28, Георгiю Скандарнову. (3—5—1)